„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯიშვილის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე [illegible] სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible] ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

სალიტერატურო საღამო

ცხინვალში

შაბათს, მარტის 9-ას.

გორში

კვირას, მარტის 10-ს.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი: თავ. ვ. თუმანიშვილი და ბატ. სოფ. მგალობლიშვილი; ქართულ-დრამატიული მსახიობნი: ქ.-ბ. ნატ. გაბუნია-ცაგარლისა, ბბ. აწყურელი, ერისთავი, მოხევე და სხვანი.

საღამო შესდგება სცენათა და ლექსთა კითხვით, ქართული ხმების სიმღერით და ლეკურ-ჩანგურ-კინტოურის თამაშობით. (3—2)

გორის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი

უმორჩილესად სთხოვს თავადთა და აზნაურთა გორის მაზრისა მობრძანდენ ქ. გორს აპრილის 14-ს, დილით ათ საათზედ გორის მაზრის კეთილშობილთა ჩვეულებრივს კრებაზედ. (3—2)

## სანიტარიული მდგომარეობა ჩვენი სოფლებისა

თბილისი, მარტის 9-ს

ნუ თუ კიდევ და კიდევ უნდა განვიმეოროთ, — თუ რა დიდს და ძვირფასს საუნჯეს შეადგენს კაცისათვის სიცოცხლე და ჯანმრთელობა? ნუ თუ მოინახება ვინმე იმისთანა, რომ თავის სიცოცხლისათვის არ ზრუნავდეს და თავის კეთილ-დღეობას არ შეხაროდეს? დიახ, სამწუხაროდ უნდა განვიმეოროთ, რადგან ხშირად არ გვაგონდება ის, რაც ორი ათასი წელიწადი მეტია სხვებმა მოიგონეს და შემდეგისამებრ ასრულებდენ კიდეც: „უვნებელ ტანში მონახეთ უვნებელი სული“, ამბობდენ რომაელები და გრძნობდენ, კიდეც, რომ ავადმყოფი კაცი, გონებითაც და სულიერადაც დაძაბუნებულია. ჩვენ კი, სამწუხაროდ, თუმცა ამოდენა ხანმა გაიარა ამისთანა ჭკვიანური ანდაზის შემოღებიდამ, მაინც ძლიერ ცოტა ყურადღებას ვაქცევთ ამ ფრიადს ძვირფას საუნჯეს— ჯანმრთელობას. როგორც ყველასაგან დამტკიცებულია, პირველი ჯანმრთელობის მომშლელი ელემენტი არის ის წარმოუდგენელი დაუდევრობა და ბინძურობა, რომელიც თვალში გვეცემათ პირველადვე ჩვენს ზოგ-ზოგიერთ სოფლებში და ქალაქებშიაც შესვლის დროს. ექიმებისაგან დამტკიცებულია, რომ იმ გვარნი სნეულებანი, როგორც მაგალითად სნება, ხურვება და სხვანი ჩნდებიან ხალხში უწმინდურობისა, ბინძურად ცხოვრებისა და მოუვლელობისაგან და მართლაც თითქმის წელიწადი არ გაივლის, რომ ჩვენს სოფლებს ერთ-ერთი ამ სენთაგანი არ ჩაუდგეს. იმისთანა სოფლებში, რომელნიც ბუნებისაგან დასაჩუქრებულნი არიან მშვენიერის ჰაერით, კლდიდან ცივ-ცივად გადმომჩქეფარე ანკარა წყაროებით, სახელ-განთქმულ მშვენიერი არომატული ღვინოებით, როგორც მაგალითად იმერეთში ჯვალითია, სვირი და სხვანი, რად უნდა ჩნდებოდეს თითქმის ყოველ წლობით ხურვება და სნება, თუ არ ბინძურობისა და უწმინდური ცხოვრებისაგან? ჩვენ ვიცით ერთი სოფელი, სადაც ხურვება თითქმის გამოუცლეველი სტუმარია ხან ერთის და ხან მეორე ოჯახისა. აქ გლეხები ისე მჭიდროდა სცხოვრებენ, რომ სახლის საძირკველს გარეთ საკუთარი ადგილი ერთი ხელის დადებაც არა აქვთ: ამასთან თავის ოჯახის შეურყეველ ბურჯს, თავის საყვარელს «წიქარა» და «ნიშა» ხარსაც იქ უნდა მოუყვენოს, სადაც თვითონ ცოლშვილითა სცხოვრობს. ამ გვარად მთელი ზამთარი გლეხმა საქონელის სიმყრალეში და მისგან წამომდგარ სინოტიეში უნდა გაატაროს. საქონლის ნაკელიც იქვე ცხვირ წინ უნდა დაიყაროს და მისი სუნით დღე და ღამ უნებლიედ იყნოსოს, რადგან ნაგავის დასაყრელი ადგილიც გარეთ არსადა აქვს.

ამ გვარ სივიწროვისა და სიმყრალისაგან, რასაკვირველია, რაც უნდა წმინდა და სუფთა ჰაერი იყოს, მაინც იწამლება, მოწამლულის ჰაერის გამო ჩნდება სხვა-და-სხვა სენი და უდროვოდ ისტუმრებს ბედკრულ ხალხს „წიაღთა აბრაამისათა“.

ამის მზგავს მდგომარეობის წყალობით არის, რომ დღეს ყოველ სოფელში მოდებულია სხვა-და-სხვა სენი, რომლის წინააღმდეგაც ძლიერ ცოტა საშუალებასა ხმარობენ. თუ დიდს არა, მცირე სარგებლობას მაინც მოიტანდა ამ შემთხვევაში სოფლებში სანიტარულის კომისიების დანიშვნა, რომელთაც უნდა შეადგენდენ სოფლიდგანვე ამორჩეულნი პატივ-ცემულნი გლეხნი და აზნაურნი და რომელთა მოვალეობას შეადგენდეს ჩაგონება და ზოგიერთ შემთხვევაში თითქმის ძალის დატანებაც სიწმინდის და სისუფთავის შესახებ.

ამასთან, როგორც სხვა ქვეყნებშიაც დიდი ხანია შემოღებული, ჩვენში ესეთს სენიან დროს მაინც დანიშნონ თითო ორ-ორი ფერშალი სოფლის კანცელარიებთან და თანაც პატარა სოფლური აფთიაქები იქონიონ, რომ გლეხს იაფად და ადვილად შეეძლოს თავის ავადმყოფის დახმარება; ამ დღეებში ერთ ქვემო იმერეთის სოფელში თითქმის 40 კაცამდე მოუკლავს ყვავილს ერთი კვირის განმავალობაში. ეს განა იმიტომ მომხდარა, რომ ვითომ აქ ყვავილი მართლა საშინლად მძვინვარებდეს!? არა —

## სამეგრელოს გუშინ *)

### III

მარტში 1857 წელს, პარიჟში დაიწერა ტრაქტატი მორიგებისა. ამის შემდეგ მოხდა ხემწიფის გვირგვინის კურთხევა და კნეინა ეკატერინეც მიწვეული იყო. თვითონ თავის შვილებით ილისში წავიდა პეტერბურგში და თან წაიყვანა თავის და ნინო ალექსანდრეს ასული გრიბოედოვისა.

წასვლის წინად სამეგრელოს მართვა კნეინამ ჩააბარა თავად გრიგოლს, რომელთანაც განწყობით ვერა ცხოვრობდა. სამეგრელოში ომარ-ფაშის შემოსვლის დროს გრიგოლ გურიის რაზმში იმყოფებოდა და აქ ათას ნაირს ტყუილს ხმებს ავრცელებდა კნეინაზედ. როდესაც მუხრანსკის წასვლის შემდეგ, ისა და კნეინა ერთმანეთს შეხვდენ, მათ შორის მოხდა ერთი მელოდრამული სცენა, როგორიც შემდეგშიაც ბევრჯელ მომხდარა: გრიგოლ ხატზედ ეფიცებოდა, რომ მას ტყუილად აბეზღებენ კნეინასთან, ტიროდა და არწმუნებდა კნეინას თავის ერთგულებასა; კნეინამ ბევრი მწარე სიტყვები უთხრა მას, თვითონაც იტირა და ყოველივე ეს იმითი გათავდა, რომ ორივენი სიტყვით მორიგდენ და საქმით კი არა: ერთმანეთის ნაბიჯის გადადგმას თვალყურს ადევნებდენ და ხელახლად წასაჩხუბებელს მასალას აგროვებდენ.

ამისთანა უსიამოვნების დროს კნეინას ეძნელებოდა სამეგრელოს მართვა გრიგოლისათვის გადაეცა; მიეცა სრული უფლება სამეგრელოს მართვისა და დაემორჩილებინა მისთვის ძმა კონსტანტინე, რომელიც ბოქაულთ-უხუცესის (შინაგან საქმეთა მინისტრის) თანამდებობას ასრულებდა, — ამდენი ნდობა არა ჰქონდა გრიგოლისადმი; არ მიეცა სრული უფლება, — და გრიგოლს გააჯავრებდა და აღგზნებულს ცეცხლს რაღა ნავთის დასხმა უნდოდა. კნეინას თავის ტალეირანი ჰყავდა — მისი სეკრეტარი თ-დი ირაკლი იოსების-ძე ლორთქიფანიძე და მას უბძანა შეედგინა ქაღალდი, თუ რა უფლებით აპარებდა გრიგოლს დროებით სამეგრელოს მართვას. ლორთქიფანიძემ მოიხმარა ყოველივე თავის დიპლომატიური ნიჭი და ისეთი ქაღალდი შეადგინა, რომ იმით თითქოს სრული უფლება ეძლეოდა გრიგოლს სამეგრელოს მართვისა, მაგრამ ნამდვილად კი არავითარი უფლება არა ჰქონდა. ყოველს შემთხვევაში მას ინსტრუქციის თანხმად უნდა ემოქმედნა, ასე რომ მისი საკუთარი აზრი ამ ინსტრუქციის წესებს უნდა დამონებოდა. კონსტანტინეს კი, პირ-იქით, ფართო ასპარეზი ჰქონდა მოქმედებისა; უფროსი გამგებელი (სახლთხუცესი) მთავრის მამულებისა, თ. ჩიქოვანი, არც ერთს ძმას არ ემორჩილებოდა, თითქმის უმთავრეს პირად ჰხდებოდა კნეინის წასვლის შემდეგ და მისი მოვალეობა იყო ეზრუნა ომისაგან აოხრებულს სამთავროს მამულებზედ, მოეგროვებინა დარჩენილი ხარჯი და რადგანაც ზუგდიდში დგომა აღარ შეიძლებოდა, -- კნეინას სასახლე და ბაღი ისკანდერფაშას აეოხრებინა, — ამისათვის ჩიქოვანს კნეინას პეტერბურგიდამ დაბრუნებამდის უნდა მოემზადებინა და გაეახლებინა სასახლე საჯინოში. როდესაც ლორთქიფანიძე თავის შედგენილს ქაღალდს უკითხავდა, უსათუოდ იმასავე გრძნობდა, რასაც ტალეირანი ვენის კონგრესზედ. გრიგოლმა, რომ მოისმინა ეს ქაღალდი, განგებ ალტაცებაში მოვიდა; კნეინამ ქაღალდს ხელი მოაწერა და მისცა გრიგოლს, რომელიც მაღლა ხმით ტიროდა. შემდეგ კნეინა პეტერბურგში წავიდა.

პეტერბურგში და მოსკოვში, რომელთაც კნეინა პირველად ხედავდა თავის სიცოცხლეში, მას დიდი ამბავი და ყოფა მოელოდა. განსვენებული იმპერატორი და მისი მეუღლე, რომელნიც ის იყო თავიანთ დიდს მეფობას იწყებდენ და მთელის რუსეთისათვის გულ-კეთილობით ბრწყინავდენ, კნეინა ალერსიანად და მოწყალის თვალით მიიღეს. თვითონ იგი თავის მხლებლებით დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველებზედ. იგი 37 წლისა იყო, მაგრამ თავის სილამაზე მაინც ჯერ არ დაეკარგა; მდიდრულად და ორიგინალურად იყო ჩაცმული და წამოსადეგი შეხედულებაცა ჰქონდა; მისი შვილე და მხლებელნი სამეგრელოს თა-

*) იხილე „დროება“ № 50.

ამ.ს მიზეზი უნდა იყოს მოუვლელობა, სიბინძურე და თან ჩვენი ხალხის ცრუ-მორწმუნეობა, მეტი არაფერი. ყვავილს ჩვენში „დიდ ბატონებს“ ეძახიან, რომელნიც ხალხის აზრით და წარმოდგენილობით ცხენებით და ფაიტონებით «დაბძანდებიან». როდესაც «ბატონები» მოვლენ, აი, რა რიგად უნდა მიეგებოს ჩვენი ხალხი: პირველად ხონჩას გაუკეთებენ, რომელზედაც სხვა-და-სხვა ნივთეულობა ეწყობა, პატარა ბატკანს წითლად აჭრელებენ და მოხუცი დედაკაცები მუხლ მოდრეკით და დიდის კრძალვით გარს უვლიან ავადმყოფს და ტკბილ „ნანა“-ს უმღერიან „ბატონების“ სასიამოვნოდ. ერთ თვეს და ხანდისხან კიდევ მეტს არც პირს დააბანინებენ ავადმყოფს, არც ტანისამოსსა და ლოგინს გამოუცვლიან და არც იმ ოთახს დაგვიან, რომელშიაც ავადმყოფი სწევს, რომ «ბატონებს» არ აწყენინონ.

ამ გვარის «მოვლით», რასაკვირველია, ბევრი წავა უდროვოდ ცავი სამარისაკენ, მაგრამ ვინ არის კაცი ჩამგონე და დამრიგებელი!

პირველად ამ შემთხვევაში ჩვენს სახალხო მასწავლებლებსა და მღვდლებსა აქვთ ვალი, რომ იყვნენ შეძლებისდა-გვარ ამ გვარ მდგომარეობაში და უმეცრებაში მყოფი ხალხის შემწენი და ჩამგონ-დამრიგებელნი. ამასთან ჩვენი «საექიმო საზოგადოება» და ჩვენი ახალ-გაზდა ექიმებიც უნდა დაეხმარონ მათ თავიანთ დარიგებითა და სახალხო საკითხავი ჰიგიენური წიგნების გამოცემით.

თ. ხ—ძე.

## შინაური ქრონიკა

— ხუთშაბათს, მარტის 7-ს, არწრუნისეულ თეატრში თ. რაფიელ ერისთავმა წაიკითხა ლექცია ქართულ ლიტერატურაზედ მეოთხე საუკუნიდამ მეთვრამეტემდე. ლექტორმა უმთავრესად მიაქცია ყურადღება სტილის განსხვავებაზე სხვა-და-სხვა საუკუნეში ნაწერებ შორის, რაისათვისაც მრავალი ნიმუშები წაგვიკითხა ძველი წიგნებიდამ სტილის განხილვა; მან მეთორმეტე საუკუნემდე მიიყვანა, აქ უფრო ხანგრძლივ შეჩერდა «ვეფხისტყაოსანზე» და რადგანაც კარგა ღამემ გაიარა და თვით ლექტორიც შეწუხდა ნიმუშების კითხვით, ამიტომ განხილვა ლიტერატურისა მეთორმეტე საუკუნიდამ მეთვრამეტემდის მეორე ლექციისათვის გადასდო.

— ჩვენ გვთხოვეს გამოვაცხადოთ შემდეგი: „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო მთავარ-მმართებლისაგან 1000 მისხალი აბრეშუმის თესლი, რომელიც მას საფრანგეთის მეაბრეშუმეთაგან მოსვლია იმ აზრით, რათა ეს თესლი უსასყიდლოდ დაურიგდეს ადგილობრივს დახელოვნებულ მეაბრეშუმეთა, მისი სიკეთის გასასინჯავად. ამისთვის სამეურნეო საზოგადოება უცხადებს აღნიშნული თესლის მიღების მსურველთა, რათა მათ მიმართონ საზოგადოების სეკრეტარს. სასურველია, რომ თესლის მსურველებმა დაუყოვნებლივ მიმართონ საზოგადოებას, რადგანაც თბილი ამინდები დგება და შესაძლებელია, რომ ჭია გამოვიდეს“.

— ოთხშაბათს, მარტის 6-ს ბათუმიდამ მომავალს მატარებელს დაუგვიანებია ნატანების სტანციის მახლობლად მიწის ზვავის ჩამოწოლის გამო.

— ტერ-ასატუროვის შენობის დაწვის გამო, სადაც იმყოფებოდენ საგუბერნიო და გლეხების საქმეთა სამმართველონი, საქმეთა წარმოება ამ სასამართლოებში ახალის განკარგულების მოხდენამდე შეჩერდებიან («ნოვ. ობ.»).

— ხევიდამა გვწერენ: თებერვლის 27-ს, ღამე, ქვეშეთის პრისტავმა ბერიძემ მლეთის სტანციაში დაიჭირა ის თბილისიდამ გამოქცეული სამი ქისტი, რომელნიც თბილისის სამსაჯულო პალატამ იცნა დამნაშავედ ვილაც პოლკოვნიკისა თუ პოდ-პოლკოვნიკის გაცარცვაში და გადაუწყვიტა თითოს 12 წლით ციმბირში გაგზავნა. ესენი არიან მოზდოკის მაზრის ქისტები; როგორცა სჩანს დავარდნილი ხმებიდამ, მოუსმენიათ თუ არა ამათ სამსაჯულო პალატისაგან დადგენილის განჩინების შინაარსი, გამოსულან, მაშინათვე აუღიათ ბილეთები, ჩამსხდარან კარეტაში და გამოუწევიათ მოზდოკისაკენ, მაგრამ, რადგან, მიღებულის ცნობისა გამო ბ-მა დუშეთის მაზრის უფროსმა საჩქაროდ მოახდინა მიწერ-მოწერა, ამიტომ პრისტავისა, ურიადნიკის და ჩაფრებისაგან ფიცხელი ყურადღება იყო მიქცეული ამ საგანზედ. ფასანაურში მისვლის უმალვე ამ კარეტაში მსხდომთ ფასანაურის ფოსტის ურიადნიკმა ფა—შოვმა თითოეულად გაუსინჯა პასპორტები და ნახა რომ, ესენი არიან ის გამოქცეულები, რომელთ დაჭერის შესახებ მოახდინა მაზრის უფროსმა განკარგულება; ურიადნიკი ფა-შოვი მოაჯდა ცხენს, ავიდა ხსენებული კარეტის მისვლამდის მლეთის სტანციაში და ეს ამბავი აცნობა პრისტავს, რომელიც იმ ჟამად იქ იმყოფებოდა. პრისტავი ხსენებულს კარეტაში მსხდომ პირთ, მოსვლის უმალვე ურიადნიკით, ადგილობრივის მამასახლისით და ჩაფრებით გარს შემოერტყა და დამნაშავენი დაატუსაღა.

— გაზეთს „ნოვ. ობოზ.“-ში სწერენ, რომ საქართველო-იმერეთის სომხით-გრიგორიანის ეპარქიის უმფროსმა წინადადება მისცა სომხების დახურული საეკლესიო სკოლების მზრუნველებს, რომ აღნიშნული სკოლების მასწავლებელთ სექტემბრამდე ყოველ თვიური ჯამაგირი ეძლიოსთ სასწავლებლის თანხიდამ და თუ სასწავლებელთ შეძლება არ ექმნესთ ამ ხარჯის მიცემისა, იმ შემთხვევაში შემწეობა მიეცემათ ეკლესიების თანხიდამ.

## უცხოეთი

### ავღანის საქმენი.

გუშინდელის ფოსტით ხუთი დღის გაზეთები ერთად მივიღეთ. ყველა ამ გაზეთების პოლიტიკურს განყოფილებაში ავღანის საქმეებზეა სჯა, ამ საქმეებს აქვთ დათმობილი უმეტესი ადგილი. როგორც ყოველს ასეთს მძიმე პოლიტიკურს საქმეებზე, როგორიც შეიქმნა ამ ჟამად ავღანის საქმეები, სხვა-და-სხვა სახემწიფოთა ყოველს გაზეთს თავისებური სჯა აქვს. ნემეცური გაზეთები გულს-მოდგინედ სცდილობენ დაამშვიდონ რუსები ინგლისთან ატეხილის უთანხმოების გამო. „ნაციონალ ცაიტუნგი“ იცნობება „სარწმუნო“ წყაროებიდამ, რომ ლონდონის წარჩინებულს წრეებში სრულებით არა ჰფიქრობენ, რომ რუსეთთან შეტაკება მოუხდეს ინგლისსაო, მაგრამ ესევე გაზეთი დასძენს ამ ცნობას. როდესაც ინგლისი «ლორდს დიუფერინს ინდოსტანის ვიცე-კოროლად ნიშნავდა, მან იცოდა, რომ

---

ვადნიც აგრეთვე გასაოცარი სილამაზისანი იყვნენ; კნეინას მხარს უმშვენებდა მშვენიერი მისი და, გრიბოედოვისა, რომელიც ძალიან ძვირფასი იყო მთელის რუსეთისათვის იმ კაცის წყალობით, რომლის გვარსაც ატარებდა. ორივე დები აქაც ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენდენ, როგორსაც ყმაწვილობის დროს თბილისში. ყველანი ალტაცებულნი იყვნენ სამეგრელოს მთავრის მეუღლით, მისი დით, შვილებით და მხლებლებით.

გვირგვინის კურთხევაზედ, სადაც კნეინას ერთი საუკეთესო ალაგთაგანი ეჭირა, როგორც მთავრის მეუღლეს, სტატს-დამას და წმ. ეკატერინეს პირველი ხარისხის კავალეროსანს, მან მიიქცია ყურადღება უცხო ქვეყნებიდამ მოსულებისა და დიდი სახემწიფოების წარმომადგენელებისა. ერთი-ერთმანეთს უამბობდენ კნეინას გმირულს მოქმედებას წარსულს ომიანობაში და ყველანი ცდილობდენ მისი გაცნობის ღირსნი გამხდარიყვნენ. სხვათა საჩუქართა შორის, ხელმწიფემ უბოძა კნეინას თავის ხელით მედალი წმ. გიორგის ლენტით წარსული ომიანობისათვის და არა მგონია, მაშინ სხვა რომელსამე ქალს ჰქონოდეს ეს ორდენი. განსაკუთრებით საკვირველებას მოდიოდა და თავს იხრიდა კნეინას წინაშე მთლად ევროპის მაშინდელი ტუზი, ურიცხვი ქონების პატრონი, ესპანიის ელჩი, ჰერცოგ დ'ოსუნა, რომელიც მალე შეიქმნა კნეინას განუყრელი სტუმარი და კავალერი. ელჩს განსაკუთრებით ის აკვირვებდა, რომ იმ პირს, რომელსაც ასეთი მეფური ქცევა, სილამაზე, ჭკუა, სინაზე და სიკეკლუცე ჰქონდა, არ ეშინოდა ტყვიისა და ნაბად და ყაბალახ-წამოსხმული წინ უძღოდა თავის მილიციას ოსმალების წინაალმდეგ. კნეინას დანახვაზედ ელჩს თვალ-წინ უდგებოდა საშუალო საუკუნოების სურათი თავის სამშობლოს ისტორიისა, რომელიც სავსეა პოეტურის და რაინდულის ეპიზოდებით.

გვირგვინის კურთხევის შემდეგ, ხელმწიფემ კნეინა პეტერბურგში გაიპატიჟა და აქ გაატარა მან მთელი ზამთარი და გაზაფხული 1857 წელს. ამ დროს კნეინას ბრძანებით თავადი კონსტანტინეც წაიდა პეტერბურგში სამეგრელოდამ. აქ ნადიმობა ნადიმობაზედ იმართებოდა. ხელმწიფის გვარეულობა განუსაზღვრელი მოწყალე იყო კნეინასი და მისი შვილებისა. მისი უფროსი შვილი, ნიკოლოზი, ათის წლის მთავარი, ლეიბ-ყაზახების პოლკის პორუჩიკი, ფლიგელ-ადიუტანტი გახდა, ქალი სალომე - ფრეილინა; ყველა ამათ სასახლეში იწვევდენ ხოლმე ხელმწიფის შვილებთან სათამაშებლად, რომელთაც იგინი ძალიან შეიყვარეს.

იმ დროს, როდესაც კნეინას ცხოვრება აქ ბედნიერად და უშფოთველად მიმდინარეობდა, სამეგრელოში ძალიან უსიამოვნო საქმეები მოხდა, რომელნიც, ჩვეულებისამებრ, უბრალო მიზეზისა გამო დაიწყო.

სამთავროს მამულების გამგებელი სახლთხუცესი, თავადი დავით ჩიქოვანი მტკიცედ შეუდგა კნეინას ბრძანების ასრულებას მამულების შესახებ და გულ-მოდგინედ ცდილობდა სალხინოს სასახლის განახლებას. სახასო მამულების გამგებლობის წესი დიდად მოხერხებულად იყო შედგენილი განსვენებულის მთავრის დავითისაგან; ეს წესი ძალიან სძულდა ხალხსა, რომელიც ხშირად წინაალმდეგადაც იქცეოდა. ჩვეულებისამებრ, სასახლეში მიწვეული ყველა მუშები, სამეგრელოს თავადს და თვით მთავარსაც პურით და ღვინით უნდა ესაზრდოებინათ; მთავარმა ეს ჩვეულება მავნებლად სცნო თავის სარგებლობისათვის და თან-და-თან შეაჩვია გლეხები მოსულიყვნენ სამუშაოდ თავიანთ საზრდოთი. მთავრის სიკვდილის შემდეგ, დედოფალი (ესე იგი მთავრის მეუღლე) ამ ჩვეულებისამებრ იქცეოდა და როდესაც თავადმა ჩიქოვანმა თავის აგენტებით შეჰყარა ხალხი სალხინოს სასახლის გასაახლებლად, მათგან მუშაობას თხოულობდა და საზრდოს კი არ აძლევდა, გლეხებმა, იდუმალის უკმაყოფილებით, თავიანთი საზრდო ხორბალი, სიმინდი და ღომი მოიტანეს და ითხოვეს მთავრის წისქვილზედ დაფქვის ნება; ამის ნება მისცეს, მაგრამ იმავე დროს მინდის აღება დაიწყეს. ეს მათ ვერ მოითმინეს, უკმაყოფილება გამოაცხადეს და უთხრეს, რომ ეს ჩვეულების წინაალმდეგიაო. სახლთხუცესმა არ მიიღო მხედველობაში

რუსეთთან დამოკიდებულება საშუალო აზიაში ამ დროიდამ სულ განსხვავებულ მიმდინარეობას მიიღებდა, რადგან ახალის ვიცე-კოროლის პოლიტიკის ქვა-კუთხედს რუსეთისადმი დაუნდობლობა შეადგენდა... ყოველს შემთხვევაში, დასძენს შემდეგ ეს გაზეთი, რუსეთს ინგლისთან ომი სრულიადაც არ უნდა აშინებდეს.'' რუსული გაზეთებიც იმედს არა ჰკარგვენ: ჩვენ არ გვსურს ომიო, მაგრამ თუ იგი აუცილებელი შეიქმნა — სრულიად არ გვაშინებს, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელს ხანებში ინდოსტანში რუსეთისათვის თანაგრძნობითი და ინგლისისათვის საწინააღმდეგო მოძრაობა უფრო-და-უფრო იჩენს თავსაო. ინგლისისა და რუსეთის შორის დამოკიდებულებამ ერთობ ,,კრიტიკული ხასიათი მიიღოო, სწერს ერთი ინგლისური გაზეთი. ინგლისი, ინდოსტანი და ავღანისტანი დიდს მზადებაში არიან, რომ ყოველს მოულოდნელს მოვლენას გამზადებული წინაუდგნენო. ინგლისის მმართებლობამ მოაგონა რუსეთს პირობა, რომელიც ამ უკანასკნელმა დასდო: — რომ იგი (რუსეთი) არ შეეხება ავღანისტანს, არც იფიქრებს ჰერათის დასაკუთრებას და ავღანისტანის საზღვრების შეშლას, რომ მცირედი გადახვევა ამ პირობათაგან კარგს არას გამოიწვევსო.

როგორც ზოგი სხვა გაზეთები ამტკიცებენ, დავა თვით ჰერათზე კი არ არსებობს, არამედ ამ ქალაქის მოსამზღვრე ადგილებზე, სადაც თურქმენები არიან დასახლებულნიო. რადგან მომეტებული ნაწილი ამ თურქმენებისა დღეს რუსეთის ქვეშევრდომები არიან, რუსეთსა ჰსურს დაისაკუთროს ეს ადგილები. ინგლისი-კი წინააღუდგა ამ განზრახვას რუსეთისას და ითხოვს, რომ ხსენებული ადგილები ნეიტრალურად დარჩნენ.

ცხადია ინგლისს არა ჰსურს რუსეთის საბრძანებელი მიუახლოვოს თავის სამფლობელო მიწებს. განსაკუთრებით პენჯე, რომელსაც რუსეთის ჯარი ერთობ მიახლოვებია ამ ჟამად, ავღანელების საკუთრებად უნდა დარჩესო. სანამ დაშინებული პენჯელები ინგლისის კომისარს ლემსდენს რჩევას ჰკითხავდენ, რუსის რაზმის მოახლოვების გამო, ამ რაზმმა უკვე შემოჰლუდა თითქმის ეს ქალაქი. ამ მანევრმა რუსის ჯარისამ ბრაზი მორია ინგლისის პრესას და ყველა გაზეთები თითქმის თხოულობენ — რუსეთის ჯარების უკან დაწევას. — ერთი რუსული გაზეთი დასცინის ამ ინგლისელი გაზეთების გაბრაზებას და მუქარას. თუმცა ქაღალდზე ინგლისის სამხედრო ძალა ფრიად მრავალ-რიცხოვანი გამოდისო, მაგრამ ნამდვილად-კი ინგლისს უკიდურესს შემთხვევაში მხოლოდ ას-ოცდა-ათასამდე მეომარის გაგზავნა შეუძლია ავღანისტანისაკენ და ამ რიცხვიდამ მეოთხედზე თუ შეიძლება დანდობაო, რადგან ოსტ-ინდიის ადგილობრივი ჯარი თითქმის მესამედად არ არის დასანდობი და ავღანელები კი შეიძლება ერთგვარად გაჰყვნენ ინგლისისა და რუსეთის ნებასაც. მაშასადამე ავღანის ემირის მოპატიჟება ინდოსტანის ვიცე კოროლისაგან ვერავითარს ნუგეშს ვერ შეადგენს ინგლისისათვის. ამ გვარს მდგომარეობის გამო — განაგრძობს რუსული გაზეთი, შეიძლება გულგრილად მოისმინოს კაცმა ინგლისური გაზეთების მუქარა და ფახი. ინგლისისგან ომის ატეხა ისეთის ადგილისათვისო, რომელიც დასახლებულია ნახევრად ველური ხალხისგან, სრული თავხედობა იქნებოდა. ვერავინ ვერ გაჰკიცხავდა ინგლისს თუნდ იმ შემთხვევაშიც, რომ რუსეთს ჰერათიც დაეჭირა, თუმცა ეს ქალაქი ამ ჟამად მერვის მაგივრობასა სწევს და ერთად-ერთი კარია ინდოეთისაკენაო. ინგლისს ისევ ხელთ ექნებოდა მთის გზები ავღანისტანში, რომელთაც იგი გაამაგრებდა, როგორც ისურვებდა. რუსეთი კი მხოლოდ მაშინ შეჩერდება, როდესაც ამის სამფლობელო მოსამზღვრე გახდება განათლებულის სახელმწიფოს სამფლობელოისა.

ინდოსტანურს გაზეთს „ტაიმს“-ში იწერებიან ჰერათიდამ: ,,ემირის განკარგულებით ჰერათიდამ (ქაბულზე) ფეშავრისაკენ მიმავალს ძველს გზაზე გაცხარებული მუშაობა არის. ხმებია, რომ ქაბულიდამ მოკლეს ხანში გაიგზავნება ინგლისელების რაზმი ჰერათის დასაჭერად. მეორეს მხრით, სარაქსიდამ იწერებიან, რუსები დიდს მზადებაში არიან, ინგლისელებს დაასწრონ და ჰერათი დაიჭირონ. ჰერათის მცხოვრებთ, უმეტესად სპარსელების მონათესავეთ, არა ჰსურთ გახდენ არც ინგლისელები და არც რუსები. მერვიდამ ჰერატამდე რკინის გზის გაყვანას ყოველის ღონით ეწინააღმდეგებიან ადგილობრივნი მცხოვრებნი, რადგან მაშინ რუსეთი თავის საქონლით აავსებს ყველა სავაჭროებს და ადგილობრივს ნაწარმოებს ფასი დაეკარგება. მერვისა და ჰერატის შუა ვაჭრობა დიდად შეფერხდა მას შემდეგ, რაც რუსებმა პირველი ამ ქალაქთაგანი დაიჭირეს. ინგლისელი ინჟინერები ამ ჟამად ადგენენ ტოპოგრაფიულს რუკებს სარაქსისა და ჰერატის შუა მდებარე ადგილებისას''.

თეირანიდამ ისმის ხმებიო, რომ სპარსეთის შაჰს გადაუწყვეტია სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიჭიროს, თუ რომ ინგლისისა და რუსეთის შორის ომი ასტყდაო. სპარსეთში დარწმუნებულნი არიან, ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას რომ შეჰხებოდა რუსეთი — ინგლისი მას, სპარსეთს, ხელს, არ გაუწვდენდა, არ გამოესარჩლებოდა, რადგან ინგლისის ინტერესები მხოლოდ ავღანისტანიდამ და ბელუჯისტანიდამ იწყება. ინგლისელები სრულიადაც არ იზრუნებდენ ჩვენთვისაო, ამბობენ სპარსეთში და მაშ სულაც არ შევწუხდებით, თუ კი რუსეთის სამფლობელო მეოთხე მხრითაც მოსამზღვრე გაგვიხდებაო.

გრაფ გერბერტ ბისმარკის ლონდონში წასვლამ აალაპარაკა ევროპის გაზეთები. დიდის სახელმწიფო კაცის მემკვიდრის ადგილიდამ დაძვრამ ბევრი სხვა-და-სხვა მოსაზრებანი გამოიწვია გაზეთებისა და რადგან ეს დრო მოხვდა იმ დროს, როდესაც ორს დიდს სახელმწიფოსა, ინგლისისა და რუსეთის შორის უთანხმოებამ თავი იჩინა, ბევრმა გაზეთმაც ის მოსაზრება გამოიყვანა, რომ გრაფ გერბერტ ბისმარკის ლონდონში წასვლისა და ავღანის საქმეებს შორის კავშირი არისო. მაგრამ ნემეცური გაზეთი „Norddeutsche Allgemeine Zeitung“-ი დაბეჯითებით ამბობს, რომ გრ. გერბერტ ბისმარკის ლონდონში გამგზავრებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ავღანის საქმეებთანაო, და რომ ინგლისისა და რუსეთის შორის ჯერჯერობით საქმე იმდენად არ გამძაფრებულა, რომ მესამე სახელმწიფოს გარევა მათ შორის საჭირო იყოსო.

## ტელეგრამები

,,ჩრდილოეთის სააგენტოსი''.

მარტის 7-ს.

პეტერბურგი. გამოცხადებულია წმინდა სინოდის განკარგულება შესახებ მართლ-მადიდებელი სამღვდელოების საქმეთა სამმართველოს დახურვისა, საეკლესიო მრევლების წყობილებათა დაწესებულებისა და მოსამსახურეთა პირთა რიცხ-

---

მათი პასუხი და მაინც მინდსა თხოულობდა. გლეხების დეპუტატებმა გრიგოლთან იჩივლეს, მაგრამ მან გაუშალა კნეინასაგან მიცემული ინსტრუქცია და რაკი იქ მათი საჩივრის დაკმაყოფილების უფლება ვერა ჰპოვა, ამისათვის უბრძანა მათ, მოეცადათ სინამ დედოფალი პეტერბურგიდამ დაბრუნდებოდა და მაშინ როგორც იგი ბრძანებდა ისე იქნებოდა. ამისთანა პასუხმა დეპუტატებს ხელი გაუხსნა; იგინი დაბრუნდენ სალხინოში და უთხრეს გლეხებს მუშაობისათვის თავი დაენებებინათ დედოფლის მოსვლამდის. სახლთხუცესმა განიზრახა ძალის ხმარება, მაგრამ ეს ძალა საკმაო არ იყო გაჯავრებულის ხალხის ხროვის დასამშვიდებლად; გლეხებმა სცემეს იმის კაცებს და ძმას, ივანე ჩიქოვანს, გარეკეს, და რაკი მიხვდენ, რომ მათი ქცევა წრეს გარეთ გასული იყო, რამდენიმე ათასი კაცი შეგროვდენ სალხინოს ახლო მდებარე მთაზედ, დაიფიცეს სასწაულ მოქმედს ხატზედ, რომ იგინი ერთმანეთს არ უღალატებენ და სანამ დედოფალი არ დაბრუნდება პეტერბურგიდამ, სახლთხუცესის არავითარს ბრძანებას არ აასრულებენ.

სახლთხუცესმა გრიგოლს მიმართა და სთხოვა შემწეობა ხალხის დასამშვიდებლად, მაგრამ მან მიუგო, რომ ინსტრუქციაში მოხსენებული არ არის მისი თხოვნის აღსრულების შესახებო. ვინ იყო მართალი და ვინ მტყუვანი, სახლთხუცესი თუ გლეხები, — ამის გადაწყვეტა მხოლოდ კნეინას შეეძლო და ამისათვის იმის დაბრუნებამდის უნდა მოეცადათ. სახლთხუცესმა სალხინოს სასახლის განახლება შეაყენა.

ეს ამბავი მთელს სამეგრელოს ანაზდეულად მოეფინა. ყოველი თავადის სახლში ცოტად თუ ბევრად იგივე ამბავი ხდებოდა, რაც მთავრის სასახლეში. ყოველი მებატონე ცდილობდა ომისაგან დანაკლისის შევსებას გლეხების შრომით, ამისათვის სათავადო გლეხებიც შეუდგნენ სალხინოში მიღებულს ფიცის ასრულებას, მათ შორის გამოჩნდენ მთავრის გლეხთაგანნი, რომელნიც უქადაგებდენ სათავადო გლეხებს მათი მხარე დაეჭირათ; დაიწყო ხალხმა თავის მოუ-რა; ერთმანეთს შეჰფიცეს და ვერავის მეცადინეობამ, ვერც გრიგოლისამ, ვერც ეპისკოპოსისამ და ვერც თავადებისამ, ვერ შეაყენა თან-დათან უფრო გაძლიერებული გლეხების აჯანყება.

აპრილის დამლევს 1857 წელს, კნეინა თავის სახლობით და ნინო ალექსანდრეს ასულით პეტერბურგიდამ თბილისში დაბრუნდა, სადაც იმ დროს მივედით ქუთაისიდამ პოლიუბიაკინი და მე. თბილისში ჩასვლის უმალვე მივედი ჩემგან დიდად პატივცემულს ნინო ალექსანდრეს ასულთან. მან, ჩვეულებისამებრ, ალერსიანად მიმიღო, ბევრი რამ მიამბო პეტერბურგზედ, დაგვირგვინებაზედ და უეცრად ამაზე საუბარი შესწყვიტა და მითხრა;

— წარმოიდგინეთ, ნიკოლოზ პეტრეს ძე პოლიუბიაკინი გუშინ ქატოსთან იყო (ე. ი. დედოფალთან) და არწმუნებდა მას, რომ სამეგრელოში არეულობააო. ნიკოლოზ პეტრეს ძე სწორედ აღტაცებული გონების მექონე კაცი უნდა იყოს, რომ ამისთანა ამბავი მოიგონოს! — ნინო იცინოდა.

ამაზედ მე მას ვუთხარი, რომ, როდესაც ქუთაისში ვიყავ, ე. ი. სამეგრელოს მეზობლად, ამისთანავე ხმები მეც გავიგონე მეთქი.

— მერწმუნეთ ეგ შეუძლებელია. იქნება მცირეოდენი უწესოება მოხდა და გრიგოლმა ვერ შეიძლო დამშვიდება; მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ, ქატოს ერთი მისვლა სუყველას დაამშვიდებს. ხალხს იგი უყვარს.

საწყალი ნინო ყოველსავე ამას გულწრფელად ამბობდა და მეც წინააღმდეგი არ გავუხდი.

შემდეგ, როდესაც კნეინასთან მივედი, ამ ამბავზედ ერთი სიტყვაც არ ითქვა; მაისში კი კნეინა თბილისიდამ დამშვიდებული წავიდა და მის ყურამდის მიხწეულს ხმებს არავითარს მნიშვნელობას არ აძლევდა. მე და პოლიუბიაკინი ივნისის დამლევს ქუთაისში დავბრუნდით.

(შემდეგი იქნება)

ვის შეცვლისა, და შესახებ განსაკუთრებულის კრების დაწესებისა, რომელმაც უნდა აწარმოოს საევლესიო სკოლების საქმენი.

რიცხვი თურქმენთა მილიციონერებისა კასპიის იქითა მხარეში 300 ცხენოსნამდე ადის.

რადგანაც მოსწავლეები გაუფთხილებლად ეგიდებიან იარაღს, რის მიზეზითაც ხშირი უბედურება ხდება, სახალხო განათლების სამინისტრო ხელ-ახლად სთხოვს მშობლებს და მზრუნველებს, რათა აღუკრძალონ ბავშვებს იარაღის ტარება.

გუშინ ოფიციალურად გაიხსნა სახამებლის მწარმოებელთა და მოვაჭრეთა კრება.

,,Journal de S.-Pétersbourg''-ი ინგლისის მინისტრების პარლამენტში უკანასკნელს მსჯელობათა შესახებ ამბობს: ,,რადგანაც ორთავე მმართებლობამ, ინგლისისა და რუსეთისამ, აღძრა მოლაპარაკება შესახებ საშუალო აზიის სადავო ნაწილში სიმართლით სამზღვრის გამორკვევისა და ისურვეს ორთავემ აღნიშნულ მხარეში ერთმანერთს შორის მშვიდობიანობის დამყარება, ამიტომ აუცილებელად საჭირო იყო თავიდამ აეცდინათ ადგილობრივი შეტაკებანი, რომელსაც შეეძლო მოლაპარაკების დაბრკოლება; ინგლისის მთავრობა თხოულობდა ამ საჭიროების აღსრულებას, რუსეთის მთავრობამაც თავის მხრით მოახდინა ჯეროვანი განკარგულებანი, და რაკი ორივე მხარეები დღეს თავიანთ დაჭერილ ალაგებზედ შეჩერებულან და ერთი მეორესაგან თავ-დასხმისა არ ეშინიათ, ამიტომ ვრცელი ნიადაგი დაეთმო მათს ერთმანეთს შორის მშვიდობიანად მოლაპარაკებას, რომელიც დღესაც გრძელდება მათ შორის.

**ხარკოვი.** ღამის 11 საათზედ გათავდა კითხვა განჩინებისა ტაგანროგის დამოყნაში ბოროტმოქმედების მოხდენის შესახებ. სამი დღისა მოლაპარაკების შემდეგ ნაფიცთ მსაჯულთ გამოიტანეს გადაწყვეტილება. უმთავრესნი ბრალდებულნი გაამტყუნეს. პალატის განჩინება გადადებულ იქმნა. სხდომა პარასკევისათვის დაინიშნა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** დობროვისა და ნაბიულცის შესანიშნავს მეხანიკურს ქარხანას გუშინ გაუჩნდა ცეცხლი; დაიწვა მაშინის განყოფილება და სამჭედლო. მრავალი მასალა დაიწვა და ბევრიც დაზიანდა. ზარალი ჯერ არ გამოუანგარიშებიათ, მაგრამ დიდი კია.

**ბუხარესტი.** პალატამ მიიღო კანონ-პროექტი საზოგადო დამოყნის ტარიფის დადგენისა. შემოსატან და გასატან საქონელზე ეხლანდელი ტარიფი მოისპო და ახლის გამოცხადებამდის იქნება ავტონომიური ტარიფი; კანონი ივლისის 1-დამ იქმნება შემოღებული.

**სუაკიმი.** ინგლისის ჯარმა დღეს ხასხევნისაკენ წაიწია.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა 4-დამ $3^1/_2\%$-დის დასწია დისკონტი.

მარტის 8 ს.

**ლონდონი.** სახემწიფოები რიგდებიან ეგვიპტის ფინანსების შესახებ და მის მართვისათვის 5,237,000 გირ. სტერლ. ნიშნავენ. ეგვიპტის ფინანსების წესში მოყვანისათვის 9 მილ. გირ. სტერლ. სესხი უნდა აიღონ ხალხთა შორებრივი პასუხის გებით; აგრეთვე ხარჯი ედება უცხო ქვეყნელებს და უნდა გამოირიცხოს ყველა კუპონებიდამ 5%, ხოლო სუეზის არხის აქციებიდამ ½% თვის დამლევს პარიჟში შეიკრიბება კონფერენცია და ექნება სჯა სუეზის არხში გემების თავისუფლად სიარულის შესახებ.

### ,,დროების'' ფოსტა.

ი. დ—ს. თქვენი ლექსი ,,ჩემ სატრფოს'' არ დაიბეჭდება.

ფოცხოველს. ტ. ვ-ძეს. კორესპონდენტის სახელისა და გვარის ცნობა რედაქციისათვის აუცილებლად საჭიროა. ესეც რომ იყოს, მაინც აგრე საზოგადოდ ლაპარაკი შეუძლებელია; ნამდვილი ფაქტები უნდა გვეცნობებინათ.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება
**ბოროტი და კეთილი კაცის**
ცხოვრება
**სალმრთო ლექსთა დართვით**
ზრ. ჩარკვიანის და ზრიქურიოვის წიგნის მაღაზიებში. ფასი 10 კაპ.
(1—1)

საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის მმართველობის თან დასწრებით აპრილის 8-ს დანიშნულია ხელ-ახალის ვაჭრობით, **იჯარით** გაცემა **საძოვარი ადგილისა** იოანე-ნათლის მცემლის უდაბნოში, **ურაიაზში.** ვისაც იჯარით აღება ჰსურს ზემოხსენებული საძოვარი ადგილისა, შეუძლიან გამოცხადდეს სინოდის სამმართველოში, ანუ გამოგზავნოს დანიშნულ დროისათვის, დილის ათს საათისათვის, დაბეჭდილნი განცხადებანი საჭირო გირაოთი, საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთებით და თავის წოდების მოწმობით. პირობათა შეკვრა სინოდის სამმართველოში მსურველებს შეუძლიანთ ყოველ დღე, კვირა უქმე დღეებს გარდა, დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდე.
(3—1)

# ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжнюю торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16—12)

### ინგლისის მაღაზიაში

**თმის-ამომყვანი** **მაკ-მასტერი**



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—97)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის აოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### საყოლობურო  კალმები



**ტურნერისა და ამხ.**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია — არწრუნისიეულს ქარვასლაში. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ ,,ხელისათვის'', 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კონვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლეიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჟდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შოტკები, პირ-სახოცები, ჰოჰინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გაასინჯოთ აგრეთვე კალმები ,,გამოფენა'' (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—7)

### ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94 93, (92 სამუსიკო მაღაზიაა დანგოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | |
|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | 1 მან. — კაპ. | ჩაის სხვაგან 1 მან. 20 ღირებულს. |
| ,, ,, | 1 — 20 — | ,, ,, 1 — 50 — |
| ,, ,, | 1 — 40 — | ,, ,, 1 — 80 — |
| ,, იშვიათი | 1 — 60 — | ,, ,, 2 — 20 — |
| ,, ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, ,, 2 — 50 — |
| ,, ფუჩეფუ | 2 — ,, — | ,, ,, 2 — 80 — |
| ,, ფენომენი | 2 — 40 — | ,, ,, 3 — ,, — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესსენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავოტები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან—ეს სეკრეტი ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის უჩვეულებრივო სიმრავლეს ჩაისას, კალმებისას, ქაღალდებისას, კრავოტებისას და სხვ... (100—7)


Доз. ценз. Тифлисъ, 8 Марта 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.